

*შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი*



*სატენდერო დოკუმენტაცია*

**CPV395000000** - ქსოვილის ნივთები

*გამარტივებული ელექტრონული ტენდერი*

---

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კაკონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2017 წ.

**1. შესყიდვის ობიექტი:**

ქსოვილის ნივთების შესყიდვა (იხ. ტექნიკური დავალება).

**2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:**

ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში;

მომწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს საკუთარი მუშახელითა და სატრანსპორტო საშუალებით.

**3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:**

ს.ს.ი.პ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ც/საწყობი, ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრი.

**1. ტექნიკური დავალება**

1	თეთრეულის კომპლექტი	კომპლექტი მოიცავს ერთ ბალიშის პირს, ერთ კონვერტს და ერთ ზეწარს; ბალიშის პირის ზომა: 55სმX65სმ,+5სმ კონვერტის ზომა: 200სმX140სმ; 5+-სმ, ზეწარის ზომა: 200სმX140სმ 5+-სმ, შემადგენლობით: 100% ბამბა, ქსოვილის სიმკვრივე ერთ კვადრატულ მეტრში არანაკლებ 150გრ., უმაღლესი ხარისხის, ზეწარი, კონვერტი და ბალიშისპირი უნდა იყოს აჭრილი სიგრძეზე და არა სიგანეზე, რათა რეცხვისა და ხმარების შემდგომ არ დაკარგოს ფორმა.	40	კომპლექტი
2	პლედი	პლედი - ქსოვილი მასალა - 70 % შალი (+/-5) დანარჩენი შემადგენლობა ხელოვნური ან/და ქიმიური ან/და სინთეზური ბოჭკო . წონა - 1 მ2 - 650- 700 გრ. ზომა - 160X200სმ (+/- 5 სმ). ნაპირები უნდა ჰქონდეს შემოკვეცილი და დაგვირისტებული სპეციალური ლენტით.	40	ცალი
3	პირსახოცი (პატარა)	ე.წ ვაფლის ქსოვილისაგან დამზადებული; გამოყენებული მასალა არანაკლებ 80% ბამბა. ზომები: 71X38სმ +/-5სმ.	40	ცალი
4	პირსახოცი (დიდი)	ე.წ ვაფლის ქსოვილისაგან დამზადებული; გამოყენებული მასალა არანაკლებ 80% ბამბა. ზომები: 150X90სმ +/-5სმ.	40	ცალი

**შენიშვნა:** 1. პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ნიმუშები, შეტყობინების გაგზავნიდან **არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში**, ტენდერისათვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილიას“ სტატუსის მინიჭებამდე. წარმოდგენილი ნიმუში შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**5. საქონლის საგარანტიო ვადა და პირობები:**

5.1 საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ **6 თვის** ვადით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სწორი ტექნიკური ექსპულატაციის პირობებში და არამექანიკური დაზიანების შემთხვევაში.

5.2 საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით მომწოდებელმა;

5.3 სატენდერო პირობებთან ხარვეზის, დაზიანების და დეფექტის მქონე საქონლის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოვლენილი ნაკლის ან ხარვეზის გამოსწორება (თუ ეს შესაძლებელია) ან საქონლის შეცვლა ახლით, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მიმწოდებლის მიერ მითითებულ ელ. მისამართზე), შეტყობინების გაგზავნის მომდევნო დღიდან აითვლება წუნდებული საქონლის ხარვეზის გამოსწორების ან შეცვლის 15 დღიანი ვადა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა ან შეცვლა წუნდებული საქონლის ახლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, დაუბრუნებელი წუნდებული საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა.

5.5 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული საქონლის ორმაგი ღირებულების ოდენობით.

**შენიშვნა:** რეკვიზიტების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, „მომწოდებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ განხორციელებული ცვლილების შესახებ. რეკვიზიტებში (ელ ფოსტის მისამართის შეცვლის) განხორციელებული ცვლილების „შემსყიდველისათვის“ შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტით ან მისამართზე გაგზავნილი წერილი ჩაითვლება გაგზავნილად.

## 6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:

**6.1** დანართი №1 (ფასების ცხრილი), ხელმოწერილი და ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

**6.2** დანართი №2 (პრეტენდენტის რეკვიზიტები), ხელმოწერილი და ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

**შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება.

## 7. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

**7.1** გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, **3 (სამი) სამუშაო დღის** ვადაში უნდა წარმოადგინოს/ატვირთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ანგარიშფაქტურით (ინვოისით), ან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ით და მიღება ჩაბარებ(ებ)ით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

## 8. მოთხოვნები:

**8.1** სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში, საერთო და ერთეულის ფასი უნდა შეიცავდეს როგორც შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასევე **დ.ღ.გ-ს** (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

**8.2** პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

**8.3** ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**8.4** პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული უზუსტობები უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს **3 (სამი) სამუშაო დღეში**.

**8.5 პრეტენდენტის მიერ დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას.**

**8.6** ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაადლო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნაღებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში.

**8.7** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის და საქონლის დაგვიანებით მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0,2%-ის** ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო საქონლის საერთოდ ან ნაწილობრივ მიუწოდებლობის შემთხვევაში - მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **20%** ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

8.8 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**9. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო:**

ს.ს.ი.პ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის საკუთარი სახსრები.

**დამატებითი ინფორმაცია:**

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, საკონტაქტო პირი:

**ნინო ბერიძე**

**ტელ: 595 806377;**

**ელ-ფოსტა:**

**n.beridze@spd.ge**

ფასების ცხრილი  
საკუთარი სახსრები

„\_\_\_\_\_“ 2017

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_ სატენდერო წინადადების ფასი \_\_\_\_\_  
(თანხა სიტყვიერად)

№	საქონლის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა მწარმოებელი კომპანია, მოდელი	გარანტია	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	

\_\_\_\_\_ (თანამდებობა, სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

დანართი №2  
რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული/ფაქტიური მისამართი:
პრეტენდენტის ოფისის/მობილურის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
ბანკის დასახელება:
ბანკის კოდი:
საბანკო ანგარიშის ნომერი:

\_\_\_\_\_ (თანამდებობა, სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 02/395/**

CPV 39500000 - ქსოვილის ნივთები

**გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA**

ქ. თბილისი

- \_\_\_\_\_ 2017 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გურამ ტომარაძის სახით და ----- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული „მხარეებად“, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16<sup>1</sup> მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

**1. ხელშეკრულების საგანი**

შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ქსოვილის ნივთების შესყიდვა დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად:

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, დ.დ.გ.-ს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) საფუძველზე.
- 3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
- 3.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.
- 3.5. ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის **2017 წლის საკუთარი სახსრებით**

**4. მიღება-ჩაბარების წესი**

- 4.1. მოწოდებულ საქონლზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით;
- 4.2. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასაწყობო განყოფილება;
- 4.3. საქონელი ჩაითვლება მოწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.4. თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

**5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

- 5.1. საქონლის მიწოდების ადგილი: ს.ს.ი.პ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ც/საწყობი, ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრი.
- 5.2. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს საკუთარი მუშახელითა და სატრანსპორტო საშუალებით.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-5 მუხლში.

## 7. საქონლის ხარისხი და გარანტია

7.1 საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ **6 თვის** ვადით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სწორი ტექნიკური ექსპლუატაციის პირობებში და არამექანიკური დაზიანების შემთხვევაში.

7.2 საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით მომწოდებელმა;

7.3 სატენდერო პირობებთან ხარვეზის, დაზიანების და დეფექტის მქონე საქონლის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოვლენილი ნაკლის ან ხარვეზის გამოსწორება (თუ ეს შესაძლებელია) ან საქონლის შეცვლა ახლით, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მიმწოდებლის მიერ მითითებულ ელ. მისამართზე), შეტყობინების გაგზავნის მომდევნო დღიდან აითვლება წუნდებული საქონლის ხარვეზის გამოსწორების ან შეცვლის 15 დღიანი ვადა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა ან შეცვლა წუნდებული საქონლის ახლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, დაუბრუნებელი წუნდებული საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა.

7.5 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული საქონლის ორმაგი ღირებულების ოდენობით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის და საქონლის დაგვიანებით მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, **მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის** ოდენობით, ხოლო საქონლის საერთოდ ან ნაწილობრივ მიუწოდებლობის შემთხვევაში - მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **20%** ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

8.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **5%-ს** შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398-ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **5** კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 10. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, გარდა 10.3 პუნქტისა.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეებზე და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საკანონმდებლო რეგულაციებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების დადგომისა და ხანგრძლივობის შესახებ. თუ მხარე მეორე მხრიდან არ მიიღებს წერილობით პასუხს - თანხმობას „ფორს-მაჟორი“-ს დადგომის შესახებ, იგი აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 მხარეების მიერ „ფორს-მაჟორი“-ს დადასტურების - აღიარების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მხარეთა წერილობით შეთანხმებით შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს „ფორს-მაჟორი“-ს ხანგრძლივობის ვადით.

### 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის** ----- ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველს“ ერთი „მიმწოდებელს“).

12.4. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად:

- სატენდერო დოკუმენტაცია.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი.

### 13. მხარეთა რეკვიზიტები

<b>შემსყიდველი:</b> სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი თავმჯდომარე	<b>მიმწოდებელი:</b>  დირექტორი
---	--------------------------------------